ხელშეკრულება №224

ჩოხატაური

15 ოქტომბერი 2019 წ.

ერთი მხრივ, **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მერის **ირაკლი კუჭავას** სახით და მეორე მხრივ **შპს „ეტალონი-მედია“, ს.კ. 204572024** (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის **მანანა ღოღობერიძის** სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:
დაფინასნების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი“ ჩატარება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში და მასში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა (CPV92200000);
1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2019 წლის ნოემბერში, შემსყიდველის მიერ წინასწარ შერჩეულ და შეთანხმებულ ლოკაციაზე.

2. უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
2.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
2.2. შემსყიდველი ვალდებულია:
2.2.1. უზრუნველყოს კონკურსის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ადგილის შერჩევა და მისი შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა.
2.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
2.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
2.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებების სხვა პირობების დაცვა.
2.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
2.4.1. უზრუნველყოს ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადება, კონკურსის ადგილზე ჩასატარებლად სპეციალური კომპიუტერული ტექნიკის ჩატანა-გამართვა;
2.4.2. ინტელექტუალური კონკურსის ჩატარება განახორციელოს სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის“ პრინციპით, კონკურსი ჩაატაროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ტექნიკურმა და შემოქმედებითმა ჯგუფმა.
2.4.3. საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩატარებას გაუძღვეს „ეტალონის“ ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი.

3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი

3.1. აღნიშნული ხელშეკრულებით შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარით (თანხა ითვალისწინებს ყველა სახელმწიფო გადასახადს);
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება განხორციელდება ღონისძიების ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
4.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5. ფორს-მაჟორული სიტუაციები

5.1. მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;
5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს;
5.3. ფორს-მაჟორული პირობების დადგომა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

6. დამატებითი პირობები

6.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს;
6.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
6.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო;
6.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ორივე მხარემ მიიღო თითო ეგზემპლარი.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
მისამართი: ჩოხატაური, წერეთლის ქ. N2
ს/კ 242008705
სახელმწიფო ხაზინა

Chokhatauri municipality

Digitally signed by Chokhatauri municipality
Date: 2019.10.15 16:47:57 +04'00'

მერი

/ფ.ჯაჯავა/

მიმწოდებელი
შპს „ეტალონი-მედია“
თბილისი, წერეთლის გამზირი №116,
დიდუბე პლაზა, ოფისი №203
ს/კ 204572024
სს „ბანკი ქართუ“
კოდი CRTUGE22
ა/ა GE08CR0030086101003608

დირექტორი

LTD "ETALONI-MEDIA"

Digitally signed by LTD "ETALONI-MEDIA"
Date: 2019.10.15 16:59:33 +04'00'

/მ.ღოღობერიძე/

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისშესახებ

ჩოხატაური

15 ოქტომბერი 2019 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კუჭავა ვადასტურებ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. ,,ეტალონი-მედია"-ს (ს.კ. 204572024) შორის 2019 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული N224 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გამარტივებულ შესყიდვაში (დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი) ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის მოთხოვნას და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მუნიციპალიტეტის მერი: ირაკლი კუჭავა